

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამა
მეოთხე სემესტრის სტუდენტი

თემური აბულაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: +995 598199434

ელ.ფოსტა: temuri21051994@gmail.com

ნაშრომი, წარდგენილი სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა

ხელმძღვანელი

სამართლის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე შენგელია

თბილისი

15/07/2019

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თემური აბულაშვილი _____

სარჩევი

ანოტაცია	4
I. მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა	5
II. მემკვიდრეობის სახეები	11
2.1. მემკვიდრეობა კანონით.....	14
2.2. მემკვიდრეობა ანდერძით	17
III. სამკვიდროს მიღების გზები	20
3.1. სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა	26
3.2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა	27
IV. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა და მასთან დაკავშირებული პრობლემანი	30
4.1. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა ნოტარიუსის მიერ	31
4.2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა სასამართლოს მიერ და სასამართლო პრაქტიკა.....	34
V. დასკვნა	40
გამოყენებული ლიტერატურა :.....	43

ანოტაცია

მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამკვიდროს მიღება, სადაც დღემდე პრობლემატურ და აქტუალურ თემას წარმოადგენს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, რომელიც გახლავთ აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი. ნაშრომში აღწერილია ის სირთულეები რასაც მემკვიდრეები შეიძლება წააწყდნენ სამკვიდროს მიღებისას, სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში სანოტარო ორგანოში განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაში, სამკვიდროს მიღების თაობაზე. ყოველივე ამის შემდგომ მემკვიდრეებს თავად უწევთ დაამტკიცონ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი ნოტარიუსის წინაშე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, რასაც რიგ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ნაშრომში აღწერილ პრობლემათა გამო. აღნიშნული ფაქტის დადგომის შემდეგ კი მემკვიდრეებს უწევთ სასამართლოსათვის მიმართვა და მხოლოდ სასამართლოს გზით გრძელვადიანი და ფინანსურად მათთვის მძიმე პროცედურების გავლა, ეს კი საჭიროებს დამატებით დროსა და რესურსებს. ნაშრომში ასევე მოყვანილია მაგალითები, რა შეიძლება გახდეს პრობლემათა გამომწვევი მიზეზი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობისას და როგორ შეიძლება აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა. სწორედ ამიტომ ნაშრომში განხილულია სხვადასხვა იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა, დღეისათვის მოქმედი სამართლებრივი ნორმები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, მათი მოგვარებისა და გადაჭრის გზები, რათა მოხდეს გამოსავლის მოძიება, საზოგადოებაში სამართლებრივი ცოდნის ამაღლება და ნორმების დახვეწა რაც დაეხმარება როგორც მემკვიდრეებს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენის ეტაპზე, ასევე ფაქტობრივი ფლობის დაუდგენლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირების თვალსაზრისით.

I. მემკვიდრეობის ცნება და მნიშვნელობა

სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს, შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.¹ პირის მემკვიდრედ მოწვევა და სამკვიდროს მიღების უფლება კი არის მემკვიდრეობის უფლება, რომელიც თავისი ბუნებით კონსტიტუციური უფლებაა.² საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი აღიარებს როგორც ერთიანი ღირებულების მქონე სამართლებრივ სიკეთეს, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას, ასევე უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს: „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“³ ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, რომელიც ეხება საკუთრების უფლების შინაარსს, რადგან მემკვიდრეობა პირდაპირ შემხებლობაშია საკუთრების უფლებასთან, მის მოპოვებასთან:

1. „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.
2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.
3. სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში.“⁴ სამართლებრივი წესწყობილების მიზანია, უზრუნველყოს საყოველთაოდ

¹ ზ. ახვლედიანი. „მემკვიდრეობის სამართალი“ გამომც. ბონა-კაუზა. თბ. 2007წ. რედ: .ბ. ზოიძე.გვ:5

² თ. გრიგოლაია სტატია, მემკვიდრეობითი სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში, რეგულირების სფერო. <https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/ანდერძით-მემკვიდრეობისა>

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 170

აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და თითოეული ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა. ადამიანის განვითარება შეუძლებელია, თუ ადამიანს არა აქვს განვითარების სივრცე და თავისუფალი განკარგვის საგნები: საკუთრება სხვა არაფერია, გარდა პირის საგნებთან დაკავშირებული თავისუფლებისა.⁵ 170-ე მუხლი არის ლიბერალური საზოგადოებრივი წესრიგის გამომხატველი ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ კანონიერად მოპოვებული ქონების დაცვას და ამით იგი თავიდან იცილებს შიდა საზოგადოებრივ კონფლიქტებს.⁶ ამ გაგებით, საკუთრების უფლება არის ელემენტარული ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის პიროვნულ თავისუფლებასთან. მისი დანიშნულებაა, თითოეულ ინდივიდს შეუქმნას თავისუფალი სივრცე ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისა, რაც მას საშუალებას მისცემს, საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწყოს პირადი ცხოვრება.⁷ აქვე უნდა გვესმოდეს თავად სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის დეფინიცია, რათა სრულად შეგვექმნას წარმოდგენა საკუთრების მნიშვნელობასთან ერთად თავად ქონების შინაარსზეც, რომელიც გახლავთ სწორედ რომ მემკვიდრეთა ინტერესი: „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შემენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“⁸ როგორც იკვეთება 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. თავის მხრივ, კოდექსი შეიცავს ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დეფინიციებს (148, 149, 152). ქონების ცნება საჭიროებს დაზუსტებას.

სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, ბრუნვიდან არ არის ამოღებული. „ობიექტის“ ეს ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული 147 -ე მუხლით განსაზღვრულ ქონების ცნებასთან, რომელიც მე-7 მუხლში მოცემული ობიექტის შინაარსს აზუსტებს და მას „ქონების“

⁵ ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 82

⁶ ლ.ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 2001, გვ. 109

⁷ http://civilcode.ge/index.php?title=მუხლი_170_._ცნება_._საკუთრების_უფლების_შინაარსი

⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147

სახელწოდებით განამტკიცებს.⁹ „ობიექტის“ ცნებას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და იგი 147 -ე მუხლის „ქონების“ ცნების იდენტურია.¹⁰ მართალია, მე-7 მუხლის მიხედვით, „ობიექტის“ დეფინიცია მოიცავს ასევე არაქონებრივი ღირებულების სიკეთეებსაც (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და სხვ.), მაგრამ, მათი ბრუნვაუნარობის გამო, ისინი განიხილებიან სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ობიექტებად და არა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებად.¹¹

იურიდიულ ლიტერატურაში ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ერთმანეთისგან გამიჯვნა ცალსახად არ არის განსაზღვრული. გამიჯვნის კრიტერიუმში, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური სუბსტანციის არსებობა/ არარსებობაა. ნივთი არის მატერიალური, სხეულებრივი საგანი, ხოლო არამატერიალური საგანი არის უსხეულო, ინტელექტუალური და შეუძლებელია მისი სივრცობრივად შემოსაზღვრა; არამატერიალური საგნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დროსა და სივრცეში არსებობის მიხედვით, ხოლო ტიპური მატერიალური საგნების თანარსებობა დროსა და სივრცეში შესაძლებელია.¹² შესაბამისად, არამატერიალური საგნები უნივერსალურია.

სამოქალაქო კოდექსის ქონების ცნება მოიცავს არა მხოლოდ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, არამედ მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შექმნას, ფლობას, სარგებლობას, განკარგვას, რაც ამ ქონების მფლობელს განსაზღვრულ მატერიალურ სარგებელს ანიჭებს.¹³ შესაბამისად, ქონების ცნებას საფუძვლად უდევს მისი მატერიალური სარგებლიანობა, მაშასადამე, მას აქვს განსაზღვრული საბაზრო ფასი და, აქედან გამომდინარე, იგი განხილულ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურების პერსპექტივიდან. ზიანი არის ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც წარმოიშობა პირის კუთვნილ სამართლებრივ სიკეთეებზე. მართალია, ზიანის ანაზღაურების ნორმები (408-415) განსაზღვრავს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, მაგრამ არ ახდენს მათ გამიჯვნას. აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვა ხორციელდებოდეს კანონმდებლობის საფუძველზე და არ ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმებს. შესაბამისად, ქონების ცნება არ მოიცავს იმ შემოსავალს, რომელიც პირმა აკრძალული საქმიანობის შედეგად მიიღო, მაგალითად, ასეთია პროსტიტუციის შედეგად მიღებული ფულადი თანხა. გამომდინარე აქედან, სამოქალაქო კოდექსის გაგებით, ქონება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის ფულადი ღირებულების მქონე მოძრავი ან

⁹ დ.კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 185

¹⁰ ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.139

¹¹ ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 138

¹² ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 46-48

¹³ ბ.ზოიძე, სკ-ის კომენტარი, წიგნი II, 1999, მუხ. 147, გვ. 15.

უძრავი ნივთი, ასევე მოთხოვნა და უფლება, რომელთა ფლობა და განკარგვა არ არის კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რას მოიცავს ქონება: მხოლოდ აქტივს, მაშასადამე, იმ უფლებებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მატერიალური სარგებლიანობის მომტანია, თუ ასევე პასივს – ვალდებულებებს, რომლებითაც ეს ქონება არის დატვირთული. 147-ე და 152-ე მუხლების მიხედვით, ქონების ცნებაში ცალსახად მოიაზრება მხოლოდ ნივთები, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მის მფლობელს მატერიალურ სარგებელს ანიჭებს და ამით გამორიცხავს პასივს. ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსი არ არის თანმიმდევრული და 1306-ე, 1328-ე მუხლების თანახმად, მემკვიდრეებზე გადადის მამკვიდრებლის ქონება, რომელიც მოიცავს როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას. შესაბამისად, ქონების ცნება უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის ნორმის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის გზით.¹⁴

შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის კანონმდებლობა კომპლექსური ხასიათისაა. მასში უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებია. ამასთან მემკვიდრეობითი ურთიერთობების განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება მიწის, საფინანსო, ადმინისტრაციული, პროცესუალური და სხვა სახის საკანონმდებლო ნორმების დახმარებით. სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობა მემკვიდრეობის კანონმდებლობას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს, რაც თავის მხრივ მემკვიდრეობით ურთიერთობათა ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს მემკვიდრეობის კანონმდებლობას. იგი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილს და მემკვიდრეობის სამართლის საფუძველია. დაუშვებელია საკუთრების მემკვიდრეობით მიღების უფლების გაუქმება. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ეს დებულებები უდევს საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის - მემკვიდრეობითი სამართალი-კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს.¹⁵

„მემკვიდრეობა როგორც დოქტრინის, ისე კანონმდებლობის მიხედვით არის გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობის სხვა პირებზე გადასვლა მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად.

¹⁴ ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 158-160

¹⁵ რ. შენგელია. „მემკვიდრეობის სამართალი“ გამომც. მერიდიანი. თბ. 2007წ. გვ:47

ზოგჯერ ყურადღება მახვილდება ქონების სხვა პირებზე გადასვლის შესახებ. მემკვიდრეობის შინაარსი ორივე შემთხვევაში ერთნაირია. პირის გარდაცვალებით ფაქტობრივად წყდება ყველა ის ურთიერთობა, რომელიც მას აკავშირებდა სხვა პირებთან და თვით ქონებასთან. მაგრამ იურიდიულად ქონებრივი ურთიერთობები არ წყდება. ისინი კვლავ არსებობენ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გარდაცვლილი პირის ნაცვლად მისი უფლებამონაწველები წარმოადგენენ ასეთ ურთიერთობათა სიბიექტებს. მართალია, ზოგიერთი ქონებრივი ხასიათის საართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც გარდაცვლილი პირი ღებულობდა მონაწილეობას, მისი გარდაცვალებით წყდება, მაგალითად, სხვა პირის რჩენის უფლება-მოვალეობა, პირადი სერვიტუტები ან ხელშეკრულებები, მაგრამ ისინი იმდენად იშვიათია და პირადული, რომ წარმოუდგენელია ელტი პირის მეორეთი შეცვლა. უმრავლეს შემთხვევაში გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე ხდება საკუთრების, გირავნობის, მოთხოვნისა და სხვა უფლება-მოვალეობათა მატარებელი. აქედან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობა უნივერსალურ ხასიათს ატარებს. გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებები და ვალდებულებები სხვა პირებზე გადადის სრულად და უცვლელად ერთსა და იმავე დროს. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს ის უფლება-მოვალეობები, რომელთა გადაცემა კანონმდებლობითაა დაუშვებელი ან ეწინააღმდეგება მათ ბუნებას. თუ ვინ არის გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე, რა სამართლებრივ საფუძველზე იკავებს იგი გარდაცვლილი პირის ქონებისა და ვალდებულების უფლებამონაცვლეზე გადასცვლა, ის ძირითადი საკითხებია რომლებზეც პასუხის გაცემა მემკვიდრეობის სამართლის ფუნქციას მოიცავს.”¹⁶

ასევე უნდა ითქვას, რომ მემკვიდრეობის სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონები სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. როგორც ხაზი გავუსვით, ქონებაში იგულისხმება არა მარტო აქტივი, არამედ პასივიც. მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მემკვიდრეობის სამართალი ადგენს და იცავს მემკვიდრეობის უფლებას, ანუ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც ხდება პირის აღიარება გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ - მემკვიდრედ. მემკვიდრეობის უფლებაში არ შედს აგრეთვე იმ პირის უფლებამოსილებათა შინაარსი, რომელიც სამკვიდრო ქონების დამტოვებლად, ანუ მამკვიდრებლად გამოდის სამემკვიდრეო ურთიერთობებში.

¹⁶ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017, გვ310

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ უძველეს ძირითად უფლებას წარმოადგენს. თანამედროვე გაგების სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, მემკვიდრეობის ინსტიტუტი გარდაუვალი აუცილებლობით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ადამიანის არსებობის ადრეულ ეტაპზე, როცა ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილებების საშუალებები უაღრესად პრიმიტიული და მწირი იყო, მემკვიდრეობა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, თუნდაც იმიტომ რომ არ არსებობდა მემკვიდრეობით გადასაცემი ქონება. მართალია, მაშინ მშობლიდან შვილზე გადადიოდა სანადირო და თევზსაწერი იარაღები, მაგრამ გვარისა და ტომის, ხოლო მომდევნო პერიოდში - ოჯახის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩებოდა საარსებოდ აუცილებელი პროდუქტები, გარეულ ცხოველთა ტყავი, მოსართავი სმკაულები და სხვა, გარდაა იმ ქონების, რომელიც გარდცვალებულთან ერთად იმარხებოდა. ამ დროს წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობები საზოგადოებაში არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ჩვევებით რეგულირდებოდა.

საზოგადოებრივი შრომის დიდი დანაიწილების კვალობაზე ხდება შრომის იარაღებისა და საშუალებების სრულყოფა, რამაც მნიშვნელოვნად შუწყო ხელი საქონლის წარმოებას, მის დაგროვებასა გაცვლითი პროცესების უზრუნველყოფას. ამან თვის მხრივ, გამოიწვია ცაკლეული ოჯახების ქონებრივი დამოუკიდებლობის გაფართოება და გვაროვნულ-ტომობრივი კავშირების მნიშვნელოვანი შესუსტება. ქონების მეპატრონის გარდაცვალება სულ უფრო აქტუალურს ხდის მისი ქონების ბედის გადაწყვეტის საკითხს. საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დანაწევრება ლოგიკურად იწვევს კერძო საკუთრებისა და მისი დამცავი სამარლებრივი ინსტიტუტების შექმნა-განვითარებას. სახელმწიფოს ინტერესებში საზოგადოების წევრთა ქონებრივი სტატუსის დადგენა და მათი დაცვა მნიშვნელოვან ადგილს იწერს. კერძო საკუთრების აყვავებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა იმ ქიბების ფარგლები რომელიც შეიძლება მემკვიდრეობის საგანი იყოს. ასეთად უკვე ითვლება ყოველგვარი ქონება, რომელსაც შეუძლია მოგების მოტანა, ადამიანთა სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გააჩნია როგორც მატერიალური, ისე მორალური ღირებულება. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების დამკვიდრება-განვითარება ლოგიკურად აყენებს დღის წესრიგში მემკვიდრეობითი ურთიერთობებისადმი არა მარტო საზოგადოების, არამედ სახელმწიფოს მხრივ ყურადღების გამახვილების აუცილებლობას.¹⁷

¹⁷ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017, გვ.311

II. მემკვიდრეობის სახეები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის შესაბამისად მემკვიდრეობის სახეებია კანონით და ასევე ანდერძით მემკვიდრეობა :

„ა) კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;

ბ) ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.“¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის - მემკვიდრის სტატუსის გარკვევა. 1307 - ე და მომდევნო რამდენი მუხლი როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეთა სისტემატიზაციას ეძღვნება. მემკვიდრედ მიიჩნევა ის, ვისზეც უფლებამონაცვლების გზით გადადის მამკვიდრებლის ქონებრივი უფლებამოვალეობები. თუ მამკვიდრებელი ძეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს, მემკვიდრედ ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიული პირებიც გამოდიან. არ აქვს მნიშვნელობა კერძო თუ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები იქნებიან ისინი, კომერციული თუ არაკომერციული ხასიათისა. უფრო მეტიც, ქონების მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოსათვის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების მუნიციპალური სტრუქტურებისათვის. იურიდიული პირები მემკვიდრეებად უმეტესად გამოდიან ანდერძით მემკვიდრეობის დროს. კანონით მემკვიდრეობისას, გამონაკლის შემთხვევებში, როცა გარცავლილის ქონება სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნს გადაეცეს.

იურიდიული პირისათვის ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების გადასაცემად აუცილებელია ის , რომ მამკვიდრებლის გადაცვალების მომენტისათვის იურიდიული პირი შექმნილი უნდა იყოს კანონით დადგენილი. არ შეიძლება ანდერძში მიეთითოს იმ იურიდიული პირისათვის ქონების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ, რომელიც შეიქმნება მომავალში, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. თუ ასეთი ანდერძი მაინც შედგა, იგი აუცილებლად უნდა გაბათილდეს.

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1307.

ფიზიკური პირები ფართოდ ღებულობენ მონაწილეობას ორივე სახლის მემკვიდრეობით ურთიერთობებში. საერთო წესის მიხედვით მემკვიდრეებად შეიძლება გამოვიდნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ციცილები იყვნენ მაკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მნიშვნელობა არ აქვს იმას, ქმედუნარიანები არიან ისინი თუ ქმედუნარონი ან შეზღუდულქმედუნარიანები. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი თავისებურებები იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ დაბადებულა. ანდერძით მემკვიდრეობისას მემკვიდრე შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიოდში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდგომ. მემკვიდრე შეიძლება იყოს ნებისმიერი ასეთი პირი - ინქება იგი მამკვიდრებლის შვილი, ახლო ნათსავი თუ სრულიად უცხო. მთავარია ანდერძში იყოს ასეთ პირზე მითითება. თუ ბავშვი დაიბადა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, იგი არ შეიძლება მემკვიდრედ იქნეს აღიარებული და ანდერძი უნდა გაბათილდეს. ბავშვის ჩასახვა უნდა ეთხვეოდეს მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიდს. ბავშვი მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩასახულად ითვლება, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დამბადებამდე გასულია არა უმეტეს ათი თვისა.¹⁹ მემკვიდრედ ითვლება ის შვილი, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლეში და ცოცხალი დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. ბავშვი მემკვიდრედ ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ცოცხალი დაიბადა.²⁰ მემკვიდრედ ითვლება ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვიც. ამასთან, გასათვალისწინებელია ზოგიერთი სპეციპკური დეტალიც. ასეთი ბავშვი დედის მემკვიდრედ ყველა შემთვევაში შეიძლება გამოვიდეს. რაც შეეხება მამის მემკვიდრეობას, იგი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანონით დადგენილი წესით მამობა ნებაყოფილობითაა აღიარებული ან დადგენია სასამართლო წესით. ორივე შემთხვევაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი ღვიძლი შვილის სტატუსს იძენს. თუკი იგი მამაზე ადრე გარდაიცვლებ, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ ქონებიდან, რომელიც მემკვიდრეობით მათ მამას ეკუთვნოდა. ასევე უნდა ითქვას რომ, მემკვიდრეებად მშვილებლების მემკვიდრეებად მათი ნაშვილები პირებიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამკვიდროს მიღების იმ საფუძვლებზე, რომელიც ქართულ მემკვიდრეობით სამართალში გვაქვს.²¹

¹⁹ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017, გვ 317

²⁰ ი.გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ.2012, გვ 31

²¹ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა), გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017, გვ 319

როგორც მოქმედი კანონმდებლობით ვხედავთ, მემკვიდრეობის საფუძვლებს წარმოადგენს ანდერძი და კანონი. შესაძლებელია, ქონების ერთი ნაწილი გარდაცვილი პირის უფლებამონაცვლეზე ანდერძით გადავიდეს, მეორე ნაწილი კი კანონის საფუძველზე. ანდერძი არის პირის განკარგულება მისი გარდაცვალების შემთხვევაში ქონების უფლებამონაცვლეზე გადაცემის შესახებ. კანონი კი უფლებამონაცვლეობის საკითხებს განსაზღვრავს იმ შემთხვევებში, როცა - გარდაცვილი პირს არ დაუტოვებია ანდერძი, ანდერძი ეხება ქონების ნაწილს ან ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად იქნა ცნობილი. აქედან გამომდინარე, არსებობს ორი საის მემკვიდრეობა: ანდერძით (ანდერძისმერი) მემკვიდრეობა და კანონით (კანონისმერი) მემკვიდრეობა. არ შეიძლება მემკვიდრეობის აღნიშნული საფუძვლების დაპირისპირება. მითუმეტეს, რომ შესაძლებელია უფლებამონაცვლეზე ორივე საფუძვლით გადავიდეს ქონება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მარტო არც ანდერძი და არც კანონი მემკვიდრეობას არ წარმოშობს. საჭიროა სხვადასხვა იურიდიული ფაქტოს არსებობა. მაგალითად, პირის გარდაცვალება, კანონით განსაზღვრულ პირთა შორის უფლებამონაცვლის არსებობა, ანდერძის ფორმის დაცვა და სხვა. ასეთ იურიდიული მნიშვნელობის მოთხოვნებს, ყველა შემთხვევაში კანონი განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის არც ერთ საფუძველს არ ანიჭებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე აგრეთვე იის გათვალისწინებით რომ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში განმსაზღვრელია ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, პირველადი მნიშვნელობა მაინც ანდერძისმერ მემკვიდრეობას უნდა მიანიჭოს. მითუმეტეს, რომ კანონისმერი მემკვიდრეობა მაშინ მოქმედებს როცა ანდერძი არ არის სახეზე ან ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვილი პირის უფლებამონაცვლეს. ასეთი პოზიცია, სასურველია, საბაზრო ურთიერთობების პერიოდის კანონმდებელმაც გაიზიაროს

2.1. მემკვიდრეობა კანონით

კანონით მემკვიდრეთა წრე, ადრე მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ყველა მათგანს სხვადასხვა დონის სიახლოვე აკავშირებს მამკვიდრებელთან. ზოგიერთი ახლო ნათესავია, მაგალითად შვილი ან მშობელი, ზოგიერთი ოჯახის წევრი, მაგალითად მეუღლე, შვილიშვილი და ა.შ.

სამკვიდრო ქონების მემკვიდრეთ შორის სამართლიანად განაწილების მიზნით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი ადგენს კანონით მემკვიდრეთა ხუთ რიგს:

„ I. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

II. მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

III. მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბების დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბების დედ-მამა და პაპის დედ-მამა

კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

IV. მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

V. მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.²²

მემკვიდრეობა კანონით, სანოტარო პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ვიდრე ეს ანდერძისმერი შეიძლება იყოს, რის მიხედვითაც შეიძლება ვიმჯელოთ რომ მოსახლეობისათვის უფრო მისაღებ ფორმას და მათში დამკვიდრებულ ფორმას სწორად კანონისმიერი მეკვიდრებით დადგენილი წესები შეიძლება იყოს. ასევე შესაძლოა ამის გამოხატულება იყოს ისიც რომ, მამკვიდრებელის გარდაცვალება ხშირ შემთხვევაში მოულოდნელი გარემოებაა და ხშირად არა თუ ითვალისწინებენ წინასწარ ამას, არამედ ფიქრის დონეზეც არ უშვებენ ისინი აღნიშნულ საკითხს, საიდან გამომდინარეც მათი უკანასკნელი ნების წერილობით გამოხატვაც, მათთვის გუათვალისწინებელ გარემოებად რჩება ხშირ შემთხვევაში.²³

როგორც ვხედავთ, სამკვიდრო ქონების გადასვლა მემკვიდრეებზე დიდწილად ხდება არა ანდერძით, რომელშიც გამოხატულია მამკვიდრებლის ინდივიდუალური ნება, არამედ კანონის საფუძველზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ჩვეულებების ანარეკლია და კოლექტიური ნების გამოხატველი. კანონი თვითონ განსაზღვრავს პირის გარდაცვალების შემდეგ თუ ვისზე უნდა გადავიდეს მისი ქონება. მასში მაქიმალურად უნდა აისახოს მემკვიდრეთა ინტერესები. თუმცა ანდერძის თავისუფლება და კანონით მემკვიდრეობის მიღების გარანტიაც, სამკვიდრო ქონების განაწილების სფეროში ობიექტური სამართლიანობის სრულ საფუძველს მაინც ვერ ქმნის. ანდერძით მემკვიდრეობის დროსაც შეიძლება დაიჩაგროს მამკვიდრებლის ახლობელი ადამიანი, თუ ანდერძით ქონება სუბიექტური გადაწყვეტილებით სხვა პირს გადაეცემა და კანონი მემკვიდრეობის დროსაც, როცა მას დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით არ უწევს მემკვიდრედ მოწვევა სამკვიდროს გახსნის დროს, მიუხედავად იმისა , რომ მას გაცილებით უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდა მამკვიდრებელთან, ვიდრე სხვა კანონისმიერ მემკვიდრეს. ყოველ შემთხვევაში მემკვიდრეობის ორივე სახე, ცალ-ცალკე აღებული, სრულყოფილად ვერ გამოხატავს მემკვიდრეობის შინაარსს. ისინი ერთმანეთს ავსებენ. კანონით მემკვიდრეობა საოჯახო ან ნათესაურ საწყისებს ემყარება. პირველ შემთხვევაში პირის ახლო მემკვიდრეებად ითვლებიან მამკვიდრებლის ოჯახის წევრები- მეუღლე,

²² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1336

²³ შ.ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობითი სამართალი , გამომცემლობა მერიდიანი, 2000

შვილები, მშობლები და სხვ. შვილებთან გათანაბრებულია შვილად აყვანილები. მეორე შემთხვევაში მემკვიდრეობა სისხლის ნათესაობას ემყარება. მეუღლე კი სისხლით ნათესავი არ არის. მამკვიდრებელთან ფიზიოლოგიური კავშირი ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე ინდივიდუალიზმის პიროვებში არსებულ ზნეობრივ წარმოდგენებს. ამიტომაცაა, რომ კანონმდებლათა უმეტესობა კანონით მემკვიდრეობას ნათესაობის განსაზღვრული ხარისხის ოდენობის ფარგლებში აწესებს. საქართველოში მემკვიდრეობა ტრადიციულად ოჯახურ საწყისებს ეყრდნობოდა. განსაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ნათესაობასაც.

ასევე უნდა ითვას, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით საკმაოდ დეტალურადაა განსაზღვრული კანონით მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებები, მასში გათვალისწინებულია ქართული მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიული დეტალები და თანამედროვე იურისპრუდენციის მიღწევებიც, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა სამემკვიდრეო ურთიერთობის ახლებურად მოწესიგება. გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი როცა მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი.²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371 მუხლი ითვალისწინებს კანონით მემკვიდრეთა ინტერესებს და გამომდინარე აქედან ადგენს სავალდებულო წილის ცნებას: „მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).“²⁵ ეს ნორმა განსაზღვრული ზომით ზღუდავს ანდერძით მემკვიდრეთა ამორჩევის თავისუფლებას. მასში გათვალისწინებულ მემკვიდრეებს აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება, მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი გათვალისწინებულნი ანდერძში.ესენი არიან პირველი რიგის მემკვიდრეები: შვილები, მეუღლე, მშობლები, ეს ის მემკვიდრეები არიან რომელთა ინტერესსაც მკაცრად იცავს კანონი, რათა ისინი არ დარჩნენ მემკვიდრეობის გარეშე. სავალდებულო წილი შეადგენს იმ წილის ნახევარს, რასაც მესაკუთრე კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა. მაგალითად თუ კანონით მემკვიდრე მიიღებდა ხუთი ათას ლარს, სავალდებულო წილი იქნება მისი ნახევარი. ამ კანონით სამოქალაქო კოდექსი იცავს მონდერძის ყველაზე ახლობელ ადამიანებს მემკვიდრეობის გარეშე დარჩენისგან, რადგან არცთუ იშვიათი შემთხვევებია როდესაც გაბრაზებულ გულზე შეუდგენია

²⁴ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა) , გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017,გვ. 392

²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 ,მუხლი 1371

მოანდერძეს ანდერძი, რომელიც გათვლილი იყო რომელიმე მემკვიდრის დასჯაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან მოანდერძეს მალე გასვლია წყენა, მაგრამ უცაბედად გარდაცვლილა ისე რომ ანდერძის შეცვლა ვერ მოუსწრია. ანდერძის შედგენაში და საკუთარი ქონების საკუთარი შეხედულობის მიხედვით განაწილებაში ცუდი და სამარცხვინო არაფერია, თუმცა როგორც ავლნიშვით ანდერძი შედგენილ უნდა იქნეს შეგნებულად სადი აზროვნების დროს, რადგან კანონი ვერ გაითვალისწინებს, თუ რა სამსახური გაუწიეს თითოეულ შვილის მშობლებმა და შესაბამისად კანონი ვერ გაანაწილებს მემკვიდრეობას ისე, როგორც ეს მათ მიაჩნიათ სამართლებრივად.²⁶

2.2. მემკვიდრეობა ანდერძით

სსკ-ის 1344 მუხლით გათვალისწინებულია ანდერძით მემკვიდრეობის დეფინიცია: „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.“²⁷ ეს ნორმა და ანდერძით მემკვიდრეობა, შეიძლება განვიხილოთ როგორც მამკვიდრებლის არჩევანის უფლება, მან თავად განსაზღვროს ვინ იქნება მისი მემკვიდრე, ერთგვარად მამკვიდრებლის საბოლოო ნების გამოხატულების საშუალების ერთ-ერთი ფორმა. ასევე ამ ნორმაში ანდერძის რამდენიმე სპეციფიკურ თავისებურებაზეა ყურადღება გამახვილებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ანდერძი არის მამკვირებლის ნების გამოხატვის აქტი სიკვდილის შემთხვევაში მისი ქონებრივი აქტივისა და პასივის სხვა პირებისთვის გააცემის შესახებ. მასში ნათლადაა გამოხატული მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. მამკვიდრებელს შეუძლია თავისი ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს- იქნება იგი კანონით მემკვიდრეთ წრიდან თუ სრულიად უცხო. არავის არ აქვს უფლება ზეგავლენა მოახდინოს მამკვიდრებლის შინაგან ნებაზე, რომლის გარეგანი გამოხატულება ანდერძში კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. ანდერძის თვისუფლებისა და პრინციპისათვის დამახასიათებელია ისიც , რომ მამკვიდრებელს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს ანდერძი, შეცვალოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ და ნების თავისუფალი გამოხატვის ფართო შესაძლებლობების გამო ლიტერატურაში ანდერძს მამკვიდრებლის იმპერატიულ განკარგულებადაც მიიჩნევენ. როგორც ვხედავთ მამკვიდრებელს მემკვიდრეთა არჩევის უფლება აქვს, რამდენადაც მას

²⁶ ნ.როსეფაშვილი , სტატია მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით

<https://elawjournal.wordpress.com/?s=სამკვიდრეობა>

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1344

შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ პირებს მემკვიდრეთა წრიდან, არამედ ასევე გარეშე პირებსაც. გამომდინარე იქიდან, რომ ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის მიერ შედგენილი განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. ეს არის ცალმხირვი გარიგება, სადაც მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული და მის შესადგენად მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის.²⁸

ერთის მხრივ ანდერძის თავისუფლების პრინციპისთვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების გარკვეული ნაწილი აუცილებლად უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებული უნდა ყოფილიყო ოჯახის წევრების ინტერესების დასაცავად. ან ანდერძით ქონება ისე უნდა ყოფილიყო განაწილებული, რომ არ ყოფილიყო საჭირო ამ მუხლის გამოყენება. ოჯახის წევრებს გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა. ასეთ პირებს ჯერ კიდევ რომის სამართალში სავალდებულო მემკვიდრეებს უწოდებდნენ. ანდერძის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა დღემდე მემკვიდრეობის სამართლის პროგრესულ ნიშნად ითვლება. შესაბამისად, სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში ნიშნავს, მოანდერძის ქონებიდან კანონით განსაზღვრული პირების მიერ წინასწარ დადგენილი ოდენობით წილის მიღების უფლებას, ანდერძის შინაარსის მიუხედავად. კანონი ასევე განსაზღვრავს სავალდებულო მემკვიდრეებს, რომლების შეიძლება იყვნენ: მამკვიდრებლის შვილები, მშობლები და მეუღლე.²⁹

როდესაც ვამბობთ, რომ ანდერძი ცალმხირვი გარიგებაა და მისი მეშვეობით მოანდერძე გამოხატავს თავის უკანასკნელ სურვილს, შესაბამისად მას უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს ანდერძი თავისი სურვილისამებრ. გამომდინარე იქიდან, რომ პირს აქვს სრული უფლება, როგორც თავის სიცოცხლეში ასევე სიკვდილის შემდეგ განკარგოს თავისი ქონება, რომელიც მის საკუთრებაში იმყოფება ასევე ანდერძის საშუალებით მას შეუძლია შეცვალოს კანონით მემკვიდრეთა რიგითობა და ასევე მათი წილის მოცულობა

²⁸ ავტორთა კოლექტივი. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“ რედ: ლ.ჭანტურია; გამომც: „სამართალი“ თბ.2000წ გვ 401

²⁹ ავტორთა კოლექტივი. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“ რედ: ლ.ჭანტურია; გამომც: „სამართალი“ თბ.2000წ გვ 82,83

სამკვიდროში. იმავეს განამტკიცებს სსკ-ის 1344-ე მუხლი, რომლეზეც უკვე გვქონდა საუბარი.³⁰

ყოველივე ეს, მის მიერ გამოვლენილი ნება რეალიზდება მისი გარდაცვალების მომენტიდან. ანდერძისმიერ მემკვიდრეობას როგორც იკვეთება შეზღუდვებიც გააჩნია: იგი უნდა იყოს წერილობითი ფორმით უშუალოდ მოანდერძის მიერ, ასევე ორი ადამიანის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენის აკრძალვა, გარდა თუ ეს ეხებათ მეუღლეებს და ა.შ. ძველი დროის პრაქტიკის გათვალისწინებით ანდერძი აღიარებულია არამხოლოდ ნოტარიული ფორმით შედგენილი „არამედ მოანდერძის მიერ წერილობით შედგენილი და ხელმოწერილიც. თუმცა უნდა ითქვას რომ ამ ორივე ფორმით ანდერძის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილს ენიჭება, შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ იგი უფრო საიმედოა არსებულ შემთხვევებში.

ანდერძი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება - სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე საქართველოში იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „აღთქუმა“. მართალია, იგი უმეტესად პირთა შორის შეთანხმებას ნიშნავდა, მაგრამ ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.³¹

ანდერძი ყოველთვის გამოხატავს მამკვიდრებლის ნებას. ამიტომ იგი გარიგებაა. ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია სამართლებრივად, რომ იგი გარიგების სინონიმადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ ნება ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ნების გამოვლენა სამართლებრივი შედეგის დადგომასთან არის დაკავშირებული სამოქალაქო სამართალში მა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ანდერძში რადგან ერთი პირის ნებაა გამოხატული, იგი ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებულ და ხშირ მაგალითს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, თუ ცალმხრივ გარიგებად ერთი ჯგუფი ნების გამომვლენ პირისათვის წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის საფუძველს, მაგალითად, სამკვიდროს მიღებაზე თანხმობის გმოცხადება, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც უპირატესობებს მესამე პირებს აკუთვნებენ. სწორედ ასეთ გარიგებებს მიეკუთვნება ანდერძი.³²

³⁰ თ. გრიგოლაია სტატია, მემკვიდრეობითი სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში, რეგულირების სფერო. <https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/ანდერძით-მემკვიდრეობისა>

³¹ ბ.ზოიძის წიგნი „ ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ.,2000

³² ლ.ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ,2011 გვ 298.

III. სამკვიდროს მიღების გზები

სამკვიდროს მიღების ორი ფორმაა ქართულ კანონმდებლობაში გაწერილი. პირველი მოიცავს განცხადების წარდგენას შესაბამის ორგანოში, ხოლო მეორე მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების საკითს. ამ მოქმედებების განხორციელებით ერთგვარად მემკვიდრის ქმედება ითვლება სურვილად მიიღოს მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ქონება.

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლშია გაწერილი: „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღონ სამკვიდრო,“³³ რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც არ უნდა იყოს იგი. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. „სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხირივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას, სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ სამკვიდრო მემკვიდრემ შეიძინა. თუკი მემკვიდრე შემდგომში არ განახორციელებს თვის უფლებას (მაგალითად, არ იცხოვრებს მემკვიდრეობით მიღებულ სახლში) ან არ მიიღებს ზომებს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, ეს არავითარ გავლენას არ მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც უკვე მოხდა.

სამკვიდრო შეიძლება მიღებული იქნეს ორი საშუალებით: სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და მართვით. განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ უნდა იქნეს წარდგენილი წერილობით გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში. სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლია იმ მემკვიდრესაც, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობასა და მართვას.

სამკვიდროს ნაწილის მიღება ნიშნავს მთელი სამკვიდროს მიღებას, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც არ უნდა იყოს იგი. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა სამკვიდრო სხვა და სხვა ადგილზეა. სამკვიდროს მიღება ერთ ადგილზე ნიშნავს სამკვიდროს მიღებას სხვა ადგილზეც. სამკვიდროს

³³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 მუხლი 1421,

მიღებად ითვლება ასევე მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან წილი მიღებაზე უარის თქმა სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ.³⁴

სამკვიდროს გახსნის მომენტში წარმოშობილი სამემკვიდრეო საგარეო-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსში შედის მემკვიდრის უფლება, მიიღოს სამკვიდრო ქონება ან უარი თქვას მის მიღებაზე და ნებისმიერი სხვა პირის ვალდებულება, თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებისგან, რომელიც ხელს უშლის მემკვიდრეს ამ უფლებათა განხორციელებაში. როგორც ანდერძით ისე კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ პირებს ამ უფლებათა განხორციელებაში მემკვიდრისათვის ხელის შეწყობაც კი ევალებათ.

სამკვიდროს მიღების ან უარის თქმის უფლება მემკვიდრეს ენიჭება მისი ნების გარეშე, ძირითადად, მამკვიდრებლის გარდაცვალების საფუძველზე. ეს უფლება მემკვიდრეს აძლევს მხოლოდ ალტერნატიულ შესაძლებლობას, მიიღოს ან არ მიიღოს მემკვიდრეობა და სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობის სუბიექტი გახდა. იგი ჯერ კიდევ არ ითვლება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლედ. იმისთვის, რომ გახდეს მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობის მატარებელი, მან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა.

სამკვიდროს მიღება ნიშნავს მემკვიდრედ მოწოდებული პირის ნების გამოხატვას სამემკვიდრეო-სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლის შესახებ. ამ მომენტიდან მემკვიდრე ითვლება სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, მამკვიდრებლის ვალდებულებების კრედიტორად და მოვალედ. სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრე სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვანი სუბიექტი ხდება.

ესეგი, სამკვიდროს მიღების უფლების განხორციელება შეიძლება მოხდეს როგორც ნების პირდაპირი გამოვლენის საფუძველზე, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ისე მოქმედებებით რაც ადასტურებს მემკვიდრის სურვილს სამკვიდროს მიღების თობაზე. და ასეთი მოქმედებაა მემკვიდრის მხრიდან, რომ მემკვიდრე შეუდგა იმ ქონების ფლობას ან მართავს, რომლითაც მამკვიდრებელთან ერთად სარგებლობდა მის სიცოცხლეში. ასეთი მოქმედება უდავოდ ადასტურებს სამკვიდროს მიღების ფაქტს.

სამკვიდროს მიღების აქტი უპირობო ხასიათისაა. სამკვიდროს მიღება რაიმე პირობით ან დათქმით არ დაიშვება. სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს მთლიანად. არ შეიძლება მისგან რაღაც ნაწილის გამორჩევა და მხოლოდ მისი მიღება. აქ იგულისხმება მამკვიდრებლის არა მთელი ქონება, არამედ მისი ის

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი v, გამომცემლობა "სამართალი", წელი 2000, გვ 467

ნაწილი, რომელიც მემკვიდრეს სამკვიდრო წილის სახით ეკუთვნოდა. სამკვიდროს მიღების აქტს გააჩნია შეუქცევადი ხასიათი და უკუქცევის ხასიათი. თუ მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების თობაზე განაცხადით მიმართა სანოტარო ორგანოს და იგი რეგისტრაციაში გატარდა, ითვლება რომ სამკვიდრო მიღებულია და განცხადების უკან გათხოვა არ შეიძლება.

მემკვიდრე რომელმაც მიიღო სამკვიდრო, მაგრამ არ დაელოდა სხვა მემკვიდრეების გამოცხადებას და სამკვიდრო ფლობას ან მართავს შეუდგა, არ არის უფლებამოსილი განკარგოს სამკვიდრო ქონება სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მოწმობის აღებამდე.

მცირე პარალელი რომ გავავლოთ საბერძნეთის კანონმდებლობასთან მემკვიდრეობის მიღების თვალსაზრისით შეგვიძლია საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ საბერძნეთში მემკვიდრეობის მიღების წესის მაგალითები, რომელიც notary.ge-ზე გვაქვს მოცემული:

„ბერძნული სამართლის თანახმად, სამკვიდრო ქონების უნივერსალური შემადგენლობა, მემკვიდრეობის უფლება და მემკვიდრეების მიერ დაუფლება ხორციელდება პირის გარდაცვალების მომენტში. გარდაცვალების დროს, „de cuius“ მემკვიდრეობა პირდაპირი წესით გადადის“ab intestat“ (ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა) მემკვიდრეებზე ან ანდერძით მემკვიდრეებზე (მუხლი 1710, სამოქალაქო კოდექსი). დასახელებულ მემკვიდრედ შესაძლოა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია ან იგულისხმება ჩასახულად სამკვიდროს გახსნის მომენტში (მუხლი 1711, სამოქალაქო კოდექსი). ჩასახული ბავშვი, რომელიც არ დაიბადება ცოცხალი, ითვლება არარსებულ ბავშვად. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, ფონდი, რომელიც შეიქმნა მისი დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ, განიხილება როგორც არსებული სიკვდილის მომენტისათვის, მისთვის განკუთვნილ ქონებასთან მიმართებაში . ბერძნული სამართლის თანახმად, (მუხლი 1846, სამოქალაქო კოდექსი) მემკვიდრეს ენიჭება კანონიერი უფლება სამკვიდროზე მემკვიდრეობის გადასვლის მომენტში. რაც შეეხება უძრავ ქონებას და ზოგადად რეალურ უფლებებს, მათი დაკანონება ექვემდებარება ქონების მიღებაზე სანოტარო აქტის და სამკვიდრო მოწმობის დარეგისტრირებას საბერძნეთის უძრავი ქონების შესაბამის რეესტრში. რეგისტრაციის დროს „de cuius“ გარდაცვალება (დამოწმებული) სერტიფიცირებული უნდა იყოს (მუხლი 1193, სამოქალაქო კოდექსი). მემკვიდრედ აღიარებისათვის მოითხოვება მხოლოდ იურიდიული უფლება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფიზიკურ (თუნდაც ჯერ არ შობილს მაგრამ ჩასახულის), ან იურიდიულ პირს შეუძლია გახდეს მემკვიდრე. გარდა ამისა, გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ ჩაუსახავ პირზე და უნივერსალური trust-ის სახით ჯერ ჩამოუყალიბებელ

იურიდიულ პირზე გადადის მემკვიდრეობა ფიზიკური პირის გაჩენის მომენტში, ისევე როგორც იურიდიული პირის დაარსების მომენტში.

გამომდინარე იქიდან, რომ მემკვიდრეობა ავტომატურად გადადის გარდაცვალების მომენტში, არ არსებობს გარდამავალი პერიოდი გარდაცვალებასა და გადასვლას შორის. შესაბამისად, არ არსებობს სამკვიდრო მმართველის დანიშვნის აუცილებლობა. თუმცა, კანონმდებელი ითვალისწინებს მემკვიდრეობის სასამართლოს მიერ დანიშნულ სამკვიდრო კურატორს, ნებისმიერი (პირის) მოთხოვნის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი. კურატორი ინიშნება, როდესაც მემკვიდრეები უცნობია, ან გაურკვეველია, მიიღეს თუ არა მათ მემკვიდრეობა. კურატორი წარმოადგენს მემკვიდრეს და მართავს სამკვიდროს; 3 მის ფუნქციებში შედის ლუქის დადება, საინვენტარო ნუსხის შედგენა და ყველა საკონსერვაციო ზომის მიღება, ისევე როგორც კრედიტების დაბრუნება (მიღება) და თანხის შეტანა სანდო ბანკში, საპროცენტო ანგარიშზე. სამემკვიდრეო სასამართლოს ნებართვის გარეშე, მას არ შეუძლია გასცეს სამკვიდრო ნივთები, გააფორმოს კრედიტები ან გარიგებები და სამკვიდრო მოძრავი თუ უძრავი ქონების ქირავნობა, ორი წლის ვადის ზემოთ (მუხლები 1865-1866, სამოქალაქო კოდექსი). სამოქალაქო კოდექსის 1865 მუხლის თანახმად, („*succession vacante*“, „ვაკანტური სამკვიდრო“), თუკი მემკვიდრე უცნობია ან დაუდგენელია მიიღებს თუ არა ის მემკვიდრეობას, მემკვიდრეობის სასამართლო, ნებისმიერი კანონიერი ან სახაზინო ინტერესის მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე ნიშნავს სამკვიდრო კურატორს. გადაუდებელ შემთხვევაში პროკურორი ნიშნავს დროებით კურატორს. ამ უკანასკნელმა უმოკლეს ვადაში უნდა დაანიშნინოს სასამართლოს საბოლოო კურატორი. რამოდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო საერთოა ყოველი მემკვიდრის სამკვიდრო წილის პროპორციულად. კანონის განსხვავებული დებულების არარსებობის შემთხვევაში, თანამემკვიდრეთა ურთიერთობებზე (*communauté entre cohéritiers*) ვრცელდება ზოგადი მემკვიდრეობითი დებულებები (*communauté par indivision*) (მუხლი 1847, სამოქალაქო კოდექსი). ყველა თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს სამკვიდროს საკუთარი წილი ან მისი ცალკეული ნივთები. ყველა თანამემკვიდრეს აქვს უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამკვიდროს განაწილება (გაყოფა) (მუხლი 1887, სამოქალაქო კოდექსი). მემკვიდრეს შეუძლია უარის თქმა მემკვიდრეობაზე ოთხი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შეიტყო მისი გადმოსვლა და გამომწვევი მიზეზი. ანდერძით (მემკვიდრეობის) გადმოსვლისას, ვადის ათვლა იწყება მხოლოდ ანდერძის გახსნის მომენტიდან. თუ გარდაცვლილს უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი უცხოეთში ჰქონდა, ან თუ მემკვიდრემ შეიტყო სამკვიდროს გადმოსვლა უცხოეთში ყოფნისას, ვადა წარმოადგენს

ერთ წელიწადს. ეს ვადა ჩერდება იგივე მოტივებით რითაც ხანდაზმულობა (მუხლი 1847, სამოქალაქო კოდექსი). უარის თქმა ხორციელდება მომრიგებელი სასამართლოს სამდივნოში განცხადების მეშვეობით (მუხლი 1848, სამოქალაქო კოდექსი). სამკვიდროს მისაღებ სანოტარო აქტის მოსამზადებლად, ნოტარიუსი მოითხოვს მამკვიდრებლის ან გარდაცვლილის სიკვდილის დამადასტურებელ საბუთს, და “ab intestat” ან ანდერძით მემკვიდრეების ხარისხს. მემკვიდრეებს ევალებათ წარმოადგინონ: სამოქალაქო მუნიციპალური რეესტრიდან გამოთხოვილი გარდაცვალების აქტი და ახლო მემკვიდრეების ამონაწერი. და თუ გარდაცვალება მოხდა 1-3-2013-მდე, გარდაცვლილის უკანასკნელი. საცხოვრებლის ტერიტორიულ მომრიგებელი სასამართლოსა და პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოთხოვილი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ გარდაცვლილის ანდერძი გახსნილია ან რომ არ არსებობს ამ პირის არცერთი გახსნილი ანდერძი. თუ გარდაცვალება 1-3-2013 შემდეგ მოხდა, საკმარისია მხოლოდ მომრიგებელი სასამართლოს სერტიფიკატი (ცნობა). თუ მეანდერძეს არ გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი საბერძნეთში, კომპეტენცია გადადის ათენის სასამართლოზე. ანდერძით მემკვიდრის ხარისხი მტკიცდება ნოტარიუსის წინაშე ანდერძის ლეგალიზებული ასლის და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გაცემული ზემოხსენებული სერტიფიკატების წარდგენით. გარდა ამისა, სამკვიდროს გადასვლა შესაძლოა დამტკიცდეს სამკვიდრო მოწმობით (certificate d’hérédité.) (მუხლი 1956 და მომდევნო, სამოქალაქო კოდექსი); სამოქალაქო კოდექსის 1962 მუხლი მოიცავს პრეზუმფციას, რომ სამკვიდრო მოწმობაში მითითებული უფლება არის ამ მოწმობაში მემკვიდრედ დასახელებული პირის უფლება. “ab intestat” მემკვიდრის ხარისხი მტკიცდება არსებული ნათესავური კავშირებით გარდაცვლილსა და მემკვიდრეს შორის, დასაბუთებული ახლო მემკვიდრეების ამონაწერით.³⁵

განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ნებისმიერ სანოტარო ბიუროში. სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანის უფლება აქვს იმ მემკვიდრესაც, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობას და მართვას. ნოტარიუსი, რომელიც მიიღებს განცხადებას სამკვიდროს მიღების თაობაზე, ვალდებულია განცხადების მიღება დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში. ერთი და იგივე გარდაცვლილი პირის სამემკვიდრეო საქმის წარმოება არ შეიძლება რამდენიმე სანოტარო ბიუროში. თუ აღმოჩნდება, რომ ერთი გარდაცვლილი პირის სამკვიდროსთან დაკავშირებული განცხადებები

³⁵ საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

წარდგენილია სხვადასხვა ნოტარიუსთან, სამემკვიდრეო საქმისწარმოება უნდა გაერთიანდეს და უნდა გადაეცეს პირველ ნოტარიუსს, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო განცხადება წარმოებაში. სამკვიდროს მიღება შესაძლებელია, როგორც პირადად, ასევე გარკვეული მიზეზების შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით. ქმედუუნარო პირს (მაგალითად: ჭკუასუსტს, სულით ავადმყოფს) მემკვიდრეობა შეუძლია მიიღოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. კანონიერი წარმომადგენელია ქმედუუნარო პირის შემთხვევაში შშობელი, მეურვე, ხოლო შეზღუდულ ქმედუუნარიანობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელია მზრუნველი. მემკვიდრეობით დატოვებული ქონება მიიღება სამკვიდროს გახსნის დღიდან, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში. ე.ი. თუ განცხადება შეტანილია სანოტარო ბიუროში სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში, სამკვიდროს მიღების ვადა გაშვებულად არ ჩაითვლება. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაშვების შემთხვევაში ხდება დაკარგვა სამკვიდროს მიღების უფლებისა. ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდროს მიიღება შესაძლებელია სასამართლოს გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ ყველა დანარჩენი მემკვიდრე, ვისაც სამკვიდრო უნდა მიეღო, თანახმა იქნება სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდრო მოწმობა არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მასში მოხსენიებული პირის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტს. სამკვიდრო მოწმობა მიეცემათ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო ქონება. ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად უნდა წარედგინოს: მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა; პირადობის მოწმობა; მამკვიდრებლისა და მემკვიდრეს შორის ნათესაური კავშირის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია (მაგ: დაბადების მოწმობა, სადაც მამის გრაფაში მითითებულია მამკვიდრებელი) უძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აგრეთვე ის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სამკვიდროში სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის, აქციების და სხვა ქონების არსებობას. ანდერძის არსებობის შემთხვევაში კი ნოტარიუსს დამატებით უნდა წარუდგინოთ ანდერძი. ასევე შემოწმებულ უნდა იქნეს ის პირები, რომლებსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროში არსებული ქონება დაყადაღებულია, დაუშვებელია სამკვიდრო მოწმობაში ამ ქონების შეტანა. მაგალითად: ბინაზე დადებული ყადაღა – ეს ის მდგომარეობაა როდესაც დაუშვებელია და ვერ გახორციელდება საჯარო რეესტრში დაყადაღებული ბინის გაყიდვა, ჩუქება, იპოთეკით დატვირთვა და ა.შ) სამკვიდრო მოწმობა ეძლევათ მემკვიდრეებს სამკვიდროს გახსნის ანუ პირის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს. ექვს თვეზე ადრე სამკვიდრო მოწმობა შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ სანოტარო ბიუროს

მოეპოვება ცნობა, რომ მოწმობის მთხოვნელ პირთა გარდა, სხვა მემკვიდრეები არ არიან.³⁶

3.1. სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა

იმისათვის რომ სამკვიდრო მიღებულად ჩაითვალოს, აუცილებელი და მთავარი პირობაა, რომ მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში სანოტარო ორგანოში შეტანილი ქონდეს განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე, რის შემდგომაც უპრობლემოდ და მარტივად გაიცემა საკვიდრო მოწმობა სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის გასვლის შემდგომ. შესაბამისად სანოტარო ორგანოში განაცხადის წარდგენა, ეს გარკვეულწილად მეტყველებს პირის დაინტერესებას მისი მამკვიდრებლის ქონების საკუთრებაში მიღების თვალსაზრისით. ხშირი პრობლემაა ნათესაური კავშირის დადგენის ფაქტიც სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღებაზე განცხადების წარდგენისას, რიგ დოკუმენტაციათა შეუსაბამობის შემთხვევაში, რაც უარის საფუძველი გახლავთ შემდგომში აღნიშნულ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღების თვალსაზრისით. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 78-ე მუხლის თანახმად:

1. „სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს. განცხადების მიღების აუცილებელი პირობაა ნოტარიუსისათვის პირის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა. გარდაცვალების მოწმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ.
3. ნოტარიუსი, რომელიც მიიღებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ განცხადებას, ვალდებულია განცხადების მიღება დაუყოვნებლივ დაარეგისტროს სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში.
4. ნოტარიუსი, მიუხედავად სამკვიდროს გახსნის ადგილისა, უფლებამოსილია, კერძო ან საჯარო აქტის ფორმით დაამოწმოს ნებისმიერი პირის განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს/აცხადებს, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი

³⁶ მავა კობიაშვილი, პუბლიკაცია მემკვიდრეობა 2011 წელი
<http://myl.ge/img/original/2015/11/9/264674472.pdf>

ვადის განმავლობაში მას არც ერთი ფორმით არ მიუღია სამკვიდრო (არც განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით, არც სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით ან მართვით). განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეიძლება შედგეს ნებისმიერ დროს.

5. არ დაიშვება ერთი და იგივე მამკვიდრებლის სამემკვიდრეო საქმის წამროება რამდენიმე სანოტარო ბიუროში. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ იგივე მამკვიდრებლის სამკვიდროსთან დაკავშირებული განცხადებები წარდგენილია სხვადასხვა ნოტარიუსთან, სამემკვიდრეო საქმისწამროება უნდა გაერთიანდეს და უნდა გადაეცეს იმ ნოტარიუსს, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო განცხადება. ნოტარიუსი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ მიღებული განცხადების და სამემკვიდრეო საქმის წამროებასთან დაკავშირებით მასთან წარდგენილი სხვა დოკუმენტების ელექტრონული ასლების გადაგზავნა იმ ნოტარიუსთან, რომელიც უფლებამოსილია აწამროოს სამკვიდრო საქმე.³⁷

3.2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა

სამკვიდროს მიღების მეორე ფორმას რაც შეეხება, ეს გამოიხატება სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის საკითხს, რაც ერთგვარად გამოხატულებას მამკვიდრებლის მიერ დანატოვარ ქონებაზე ბატონობისა, რომელიც მიმართულია მისი როგორც საკუთარის მიღებასა და შემდგომში განკარგვის სურვილზე. ასევე ყველაზე მთავარი პირობა რაც ასევე ამ შემთხვევაშია სახეზე, ფაქტობრივი ფლობა და ზემოაღნიშნული მოქმედებანი მემკვიდრის მხრიდან აუცილებელია ხორციელდებოდეს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლამდე. მემკვიდრის მოქმედება ქმედება რომელიც მისი შინაარსით გამოხატავს სამკვიდრო მასაზე პრეტენზიის გამოთქმას, თავის მხრივ აღიქმება მემკვიდრეობით დარჩენილ ქონების მიმართ ინტერესს და მის საკუთრებაში მიღების სურვილს, თუმცა რასაკვირველია მისი მოქმედება უნდა შეიცავდეს მითითებული შინაარსის შემცველ ელემენტებს.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა შესაძლებელია როგორც ნოტარიუსის მიერ, იმ დოკუმენტაციის და გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელიც გაწერილია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლში, სამკვიდროს ფაქტობრივად

³⁷ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია, საქართველოს მინისტრის ბრძანება, 71, (31/03/2010), მუხლი 78

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0>

დაუფლების ფაქტის დამდგენ გარემოებებისა ან/და დოკუმენტთა ნუსხაში არსებულ ჩამონათვალის შესაბამისად, ასევე სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტის დადგენა ხორციელდება სასამართლოს მიერ, უდავო წარმოების წესით, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით, სადაც სასამართლო რიგი დოკუმენტებისა და გარემოებათა შესწავლით, მისი შინაგანი რწმენით ადგენს ან უარყოფს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების შესახებ ფაქტებს.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შესაძლოა გამოიხატებოდეს სხვადასხვა ფორმით, თუნდაც მემკვიდრის მიერ არსებული ქონების მოვლაში, ზნურვასა და გარკვეული სამუშაოების ჩატარებაში, მოპყრობა როგორც მისი ქონებისა. სამსახური, და არა თუნდაც სხვისი კეთილგანწყობის ან გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ და ა.შ. ასევე ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შემთხვევა ქონებით სარგებლობის ფაქტებს გულისხმავს, იქნება ეს პირადი მოხმარებისთვის თუ იქნება ეს გაქირავებით მიღებული შემოსავლით სარგებლის შემთხვევები. ხშირ შემთხვევაში ასევე მემკვიდრეები ფაქტობრივ ფლობას ადასტურებენ გარდაცვლილის მოძრავი ქონების ფლობით და მისი წარმოდგენით, იქნება ეს გარდაცვლილის საყურე, ჭურჭელი თუ სხვა მოძრავი ნივთები, რომელიც უდავო წარმოების წესით განსახილველ განცხადებას დანართის სახის დაერთვის ხოლმე. აღნიშნული კი ემყარება და სსკ-ის 1421 მულის მე-3 პუნქტის შესაბამისად დადგენილ გარემოებას, სადაც აღნიშნულია თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო.

სამკვიდროს ფაქტობრივი მართვას ისეთი შემთხვევა, როცა მემკვიდრე, მართალია თავად არ ფლობს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან დასტურდება, რომ თავისად მიიჩნევს, იხდის ქონების გადასახადს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და სხვ.

სამკვიდროს მიღების აქტი უნიკალურ ხასიათს ატარებს. იგი ვრცელდება მთელ სამკვიდრო ქონებაზე, რაშიც არ უნდა იყოს გამოხატული და სადაც არ უნდა იყოს, თუ სამკვიდროს ქონება სხვადასხვა ადგილას იმყოფება სამკვიდროს გასნის ადგილის მიხედვით სამკვიდროს მიღება ნიშნავს სხვა ადგილზე არსებული ქონების მიღებასაც. სამკვიდროს მიღებისას მემკვიდრეს შეიძლება სრული წარმოდგენა არც ჰქონდეს სამკვიდრო ქონების ზუსტ შემადგენლობაზე. ამიტომ, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა.

მემკვიდრემ თუ სამკვიდრო მიიღო, მაშინ მისთვის იწყება სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ეტაპი. იგი გრძელდება მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება სამკვიდროს ბედი, ვიდრე არ მოხდება

სამემკვიდრეო უფლებათა გაფორმება. მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების შემდეგ, სამკვიდროს შემადგენლობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას საკუთრების უფლება ქონებაზე, პირადი არაქონებრივი უფლება მამკვიდრებლის ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მამკვიდრებლის ვალის გადახდის ვალდებულება და სხვ.

მემკვიდრეობის მიღება უნდა მოხდეს კანონით გასაზღვრულ დროში. როგორც ვიცით უკვე, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებული უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნიდან. მემკვიდრემ ამ დროის განმავლობაში უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს განცხადებით სამკვიდროს მიღების თაობაზე ან შეასრულოს სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი მოქმედებები. თუ ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს, შემდეგ იგი კარგავს მისი მიღების უფლებას. სამკვიდროს მიღების დადგენილი ვადა მიეკუთვნება პრეკლუზიურ ვადებს, რომლის გასვლა წყვეტს სამკვიდროს მიღების თვით უფლებას, განსხვავებით სასარჩელო ხანდაზმულობის ვადისგან, რომლის გასვლაც კონრეტულ უფლებას კი არ წყვეტს, არამედ მისი იძულებითი დაცვის შესაძლებლობას სპობს. სამკვიდროს მიღებას ვადაზე არ მოქმედებს ვადის დენის დაწყების, შეძერების, შეწყვეტისა და აღდგენის ხანდაზმულობის ვადისთვის დამახასიათებელი წესი.³⁸ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს რომ, დაუშვებელია სამკვიდროს ვადის გაგრძელება. ობიექტური გარემოება ან სხვა საპატიო მიზეზი შეიძლება ამ ვადის გაგრძელების საფუძველი გახდეს. სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვს თვიანი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ. წინასწარ არ არის დადგენილი გარემოებანი რომელთა საფუძველზეც შეიძლება მიიჩნიოს მოსამართლემ ესა თუ ის გარემოება საპატიოდ.³⁹

³⁸ დ.სუხიტაშვილი, სამართალი და დრო, თბ 2004

³⁹ ე.შენგელია რ.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბ.2017, გვ 411

IV. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა და მასთან დაკავშირებული პრობლემანი

ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. პირველი, როცა მკვიდრების გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე ცხოვრებს იმავე საცხოვრებელ სალში, რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა. ეს შემთხვევა როგორც აღინიშნა ყოველთვის განიხილება, როგორც სამკვიდროს მიღება (თუ, ცხადია, ის უარს არ განაცხადებს მის მიღებაზე) რამდენადაც მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა გარდაცვლილის ნივთების ფლობას. მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ მის სახლში მემკვიდრის ცხოვრების ხანგრძლივობას მნიშვნელობა არ აქვს. ქონების ფაქტობრივად ფლობას ნიშნავს ასევე მემკვიდრის მიერ მამკვიდრების ნივთების თავისთან გატანა, მამკვიდრების ფასიანი ქაღალდების და სხვა. შენახვა (თუ მემკვიდრე არ განაცხადებს, რომ ნივთებს ინახავს არა თავისთვის, არამედ სხვა მემკვიდრეებისათვის გადასაცემად და არ აქვს განზრახული სამკვიდროს მიღება). ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს, უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა სამკვიდროს გაყოფის შესახებ. სამკვიდროს ფაქტობრივ მართაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა მემკვიდრე არ ფლობს მამკვიდრების ნივთებს, მაგრამ მისი მოქმედებებიდან დასტურდება, რომ სამკვიდროს თვისად მიიჩნევს. მაგალითად, სამკვიდროს გახსნის შემდეგ იხდის ქონების გადასახადებს, ახდევინებს ქირას მამკვიდრების ქონების დამქირავებლებს და ა.შ.

„სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან. სააპელაციო პალატა ერთ-ერთ საქმეში განმარტავს, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივი ფლობის (მამკვიდრების სახლში ცხოვრების) ფაქტს. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და, რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად.“⁴⁰ ქონების ფაქტობრივად ფლობა ნიშნავს მემკვიდრის მიერ გარდაცვლილის ნივთის თავისთან გადატანას (მაგალითი: დაეუფლა ოქროს ნივთებს, მის კუთვნილ

⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 9 ნოემბერი 2012 წელი, საქმე #28/2678-12

ჭურჭელს და ა.შ.). ფაქტობრივი ფლობა შეიძლება დადასტურდეს იმ შემთხვევაშიც, თუ პირი ფლობს გარდაცვლილი პირის კუთვნილ დოკუმენტებს. ასევე შეგვიძლია ფაქტობრივი ფლობა დავადასტუროთ კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდის ქვითრებით (მაგ: ელ. ენერჯის და ბუნებრივი აირის მოხმარების შესახებ გადასახადების გადახდის ქვითრები). ასევე ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება არის გარდაცვლილის სახლში მემკვიდრის რეგისტრაცია.

ფაქტობრივი დაუფლების ფაქტის დასადგენად , პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის გარემოება რომ ფაქტობრივი ფლობის ფაქტი უნდა დგინდებოდეს იმ ექვსი თვის ვადაში სამკვიდროს გახსნიდან, რომელიც ჰქონდა მემკვიდრეს სანოტარო ორგანოში განცხადების წარსადგენად სამკვიდროს მიღების შესახებ, რათა მოხდეს აღნიშნული განცხადების წარდგენის ჩანაცვლება სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების ფაქტით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რთულია წინასწარ გაიწეროს ყველა ის საჭირო დოკუმენტაცია თუ გარემოება , რომლითაც შეძლებს მემკვიდრე მისი ფლობის, ნივთზე ბატონობის დამტკიცებას, სწორედ აქედან გამომდინარე იჩენს თავს რიგი პრობლემები რომლებსაც აწყდებიან ნოტარიუსები სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადასტურების ეტაპზე, რის გამოც უწევთ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმა მემკვიდრეებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მემკვიდრეები იძულებულები ხდებიან მიმართონ სასამართლოს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადასტურების მიზნით და მათი შეცდომებისა თუ არასწორი მოქმედებების, კანონში არსებული მოსაწესრიგებელი ნორმების ერთობილიობით დამოკიდებულნი იყვნენ მოსამართლის შინაგან რწმენაზე რათა მიიღონ სამკვიდროზე საკუთრების უფლება.

4.1. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა ნოტარიუსის მიერ

ყველაზე იოლი გამოსავალი რა თქმა უნდა ნოტარიუსისთვისაც და თავად სამკვიდროს მიმღებისთვისაც არის განცხადების წარდგენა დროულად სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების თაობაზე, რათა მოხდეს ზედმეტი გართულებებისა და პრობლემებისგან გვერდის ავლა ორივე მხრიდან და ნოტარიუსს არ მოუწიოს უარი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. სამწუხაროდ ჩვენს რეალობაში პრობლემატური საკითხია სამართლებრივი განათლების არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელი, რის გამოც ხშირად უწევს ნოტარიუსს რიგ დოკუმენტაციაში ძიება, რომლის საფუძველზეც შეუძლია მას დაადგინოს

სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების საკითხი და რომელიც გაწერილია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 85 მუხლში, კონკრეტულად კი: „სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით:

„ა) იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამოწურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდა ერთი და იგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, ეს ნორმა მოქმედებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებულნი. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ ნივთებს ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას/საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებულნი იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი.

ბ) მამკვიდრებლის კუთვნილი იმ დოკუმენტების ფაქტობრივად ფლობა, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო მასაში სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის, სახეობითი აქციის არსებობას;

გ) საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამათანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში.

დ) კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესამ-ლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია.

ე) სხვა საჯარო დოკუმენტები.“⁴¹

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენის ეტაპზე რიგი პრობლემები იჩენს თავს, რომელთა სიზუსტის და მცდარობის დადგენაც უწევთ ნოტარიუსს პირველ რიგში და თუ იგი ამას ვერ ახერხებს სასამართლოსთვის მიმართვის გზით. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გარდაცვლილისა და მემკვიდრის ერთ მისამართზე რეგისტრაციის გარემოებებს, ან გარდაცვლილის რომელიმე ერთი ქონების და მემკვიდრის ერთი და იგივე მისამართის არსებობის ფაქტები.

⁴¹ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია, 85 მუხლი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0>

თუმცა აქაც არსებობს რიგი პრობლემანი, როდესაც საქმე ეხება მამკვიდრებლისა და მემკვიდრის იდენტურ მისამართებს, მაგრამ აღნიშნული ქონება ეკუთვნის ისეთ სოფელს ან მსგავს დასახლებას რომელიც არ არის დანომრილი, შესაბამისად ვერ ხერხდება ქონების ზუსტი იდენტიფიკაცია.

გასაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ეს პრობლემა ბოლო პერიოდში, რაც გამოიწვია კანონის ცვლილებამ თვითმმართველი ერთეულის შესახებ. აქამდე თვითმმართველი ორგანოები მსგავს შემთხვევებში გასცემდნენ ცნობებს რომელიც ადასტურებდა პირის მიერ კონკრეტული ქონების ფაქტობრივი დაუფლების საკითხებს და ატარებდა ინფორმაციულ ხასიათს, ხოლო შეცვლილმა კანონმა კი აღარ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება. აღნიშნული გარემოების შესამსუბუქებლად ნოტარიუსებისათვის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ შეიმუშავა რეკომენდაცია რომელიც ასეთი ფორმით ჩამოყალიბდა:

„2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის 166-ე მუხლითაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. როგორც მოგეხსენებათ, ძალადაკარგული ორგანული კანონის თანახმად, რწმუნებულის ვალდებულებაში შედიოდა მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამგებლისადმი (მერისადმი) წარდგენა. აღნიშნული კომპეტენციიდან გამომდინარე,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენ დოკუმენტთა შორის გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ. 2014 წლის 5 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უძრავი ქონების ფლობის/სარგებლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, რაც გამორიცხავს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მითითებული ნორმით გათვალისწინებული ცნობების გაცემას. გამომდინარე აღნიშნულიდან, რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის სანაცვლოდ,

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, ნოტარიუსი უფლებამოსილია, ფაქტობრივი ფლობის დამდგენ ერთ-ერთ დოკუმენტად მიიღოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, თემის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ ინფორმაცია.“⁴²

აქედან გამომდინარე ნათელია ის პრობლემანი რომელთაც აწყდებიან ნოტარიუსები მემკვიდრეობის ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენის ეტაპზე. საჭიროა ასევე თვითმმართველ ორგანოთა მხრიდან მოხდეს ხელშეწყობა და გაიწეროს მათი მხრიდან მის სამოქმედო ტერიტორიაზე ინფორმაციის შეგროვების და გაცემის ფუნქცია აღნიშნულ საკითხზე, რაც ბევრად ობიექტური იქნება თუ აღმოჩნდება რომ მსგავსი ინფორმაციის მოპოვება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან დანახარჯებს. მითუმეტეს რომ ნოტარიუსს არაქვს გამოკვლევის უფლება და მოწმეთა მხრიდან ახსნა-განმარტების მიღება აღნიშნულ საკითხზე. უნდა აღინიშნოს რომ მამკვიდრებლისა და მემკვიდრის რეგისტრირებული მისამართის იდენტიფიკაციის გარდა პრობლემას წარმოადგენს ხოლმე კომუნალური გადასახადების ქვითრებიც, რომლებიც ხშირად გადახდილია ავტომატური გადახდის აპარატებით და რომელთა თუნდაც ქვითრებიდან არ იკვეთება გადასახადის გადამხდელის ვინაობა, ვერ ხდება მისი ინდენტიფიცირება. ესეც ერთგვარად პრობლემას წარმოადგენს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტთა ჩამონათვალში, რომელთა მიხედვითაც ნოტარიუსს მინიჭებული აქვს უფლება დადაგინოს პირის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი.

4.2. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა

სასამართლოს მიერ და სასამართლო პრაქტიკა

ფაქტობრივი ფლობა ნიშნავს, რომ პირმა ფიზიკურად უნდა მიიღოს და ფაქტობრივად შეუდგეს მის ფლობას ან მართვას, აღნიშნულთან მიმართებაში სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. ამ გარიგებით გამოვლენილი ნება ჩაითვლება ნამდვილად, თუ მემკვიდრე მიმართავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან

⁴² რეკომენდაცია ფაქტიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების თაობაზე
<http://notary.cloud.gov.ge/res/docs/shida/menu/rekomendatsia-31-10-2014.pdf>

ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივი ფლობის (მამკვიდრებლის სახლში ცხოვრების) ფაქტს. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და, რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების საკითხის გამოსარკვევად პირველი ინსტანციის სასამართლოში ხდება მოწმეების დაკითხვა.⁴³

„სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამკვიდროს მიღება არის ცალმხრივი გარიგება, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მემკვიდრის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. ასეთად კი მიიჩნევა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში და სხვა. სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მემკვიდრე არ ფლობს მამკვიდრებლის ნივთებს, მაგრამ მისი მოქმედებიდან დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გადასახადების გადახდაში, დამქირავებლისათვის ქირის გადახდევინებაში, თხოვებაში და ა.შ.

პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში შემავალი ქონების ჰყრობა ან ფაქტობრივი ფლობა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევენ დანაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ.

ასევე სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში

⁴³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 9 ნოემბერი 2012 წელი, საქმე #28/2678-12 <http://library.court.ge/judgements/2352014-12-18.pdf>

შემავალი ქონების პყრობა ან ფაქტობრივი ფლობა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევენ და ნაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ.

მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. პალატა აღნიშნული ნორმების სისტემური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება, თავის მხრივ, ცალმხრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა. გარიგება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არ გულისხმობს მხოლოდდამხოლოდ პირის ნების ობიექტურად არსებობას გარკვეული სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, რომ აღნიშნული ნება გამოვლენილ იქნეს. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას მიიღოს ან არ მიიღოს სამკვიდრო, თუმცა, აწესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადას. სამკვიდროს მიღების ნების არსებობის შემთხვევაში, ნება გამოვლენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება. უფრო მეტიც, აღნიშნული ნების გამოხატვის მიზნებისათვის კანონი საკმარის საფუძველად მიიჩნევს სამკვიდროს ნაწილის დაუფლებას, სასამართლო პრაქტიკით სამკვიდროს ნაწილად მიჩნეულია სამკვიდრო მასაში შემავალი როგორც უძრავი, ასევე ნებისმიერი მოძრავი ნივთი. პალატა მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის არარსებობის პირობებში, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა ადასტურებს მემკვიდრის ნებას სამკვიდროს მიღებაზე. პალატა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მიზნებისათვის მნიშვნელოვანს ანიჭებს ასევე მემკვიდრეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას სამკვიდრო მასაში არსებული ქონების მიმართ. პალატა მემკვიდრის მიერ ნების გამოვლენის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებულ ვადაში ისეთი ობიექტური

გარემოებების არსებობა, როგორცაა, სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მემკვიდრის ნების გამოხატვის ობიექტურ თავისუფლებას, ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ნების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებიც შეიძლება არსებობდეს, მათ შორის, ერთ - ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ხელშეშლაა, რის გამოც, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების სურვილის მქონე პირი, იძულებულია სხვაგან იცხოვროს, რაც იმთავითვე გამორიცხავს მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას.⁴⁴

ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში განხულილია გარემოება, როცა პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო სახლში პერიოდულად ჩასვლაც რიგ შემთვევებში ნიშნავს სამკვიდროს მიღებას ფაქტობრივი ფლობით. კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის არარსებობის პირობებში, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა ადასტურებს მემკვიდრისნებას სამკვიდროს მიღებაზე. პალატა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მიზნებისათვის მნიშვნელობას ანიჭებს ასევე მემკვიდრეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას სამკვიდრო მასაში არსებული ქონების მიმართ, კერძოდ, თუ მემკვიდრე გარკვეულ ზომებს იღებს სამკვიდროს დაცვის, შენარჩუნების, გაუმჯობესებისათვის და თუ ამკარად გამოკვეთილი არ არის, რომ აღნიშნული ვინმეს სასიკეთოდ, საჩუქრის სახით კეთდება, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე იგულისხმება, რომ მემკვიდრე ქონებას თავისად დაგულვებულად მიიჩნევს და გარკვეულ ხარჯებს სწევს საკუთარ ქონებაზე.⁴⁵

ასევე ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლის პოზიციიდან გამომდინარე, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ამასთან, პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ მიიჩნევა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც

⁴⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 9 ნოემბერი 2012 წელი, საქმე #28/2678-12 <http://library.court.ge/judgements/2352014-12-18.pdf>

⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 25 მარტი, 2014 წელი, საქმე #28/4488-10 <http://library.court.ge/judgements/46832013-12-12.pdf>

რეგისტრაციასავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, თუმცა, რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება ⁴⁶

არსებულ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ნორმათა შინაარსზე, რომლებიც არეგულირებენ სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების საკითებს, ასევე ამ ნორმათა პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებს რაც ყველაზე უმთავრესია აღნიშნული საკითხის განხილვის ეტაპზე და პრობლემათა მოძიების, მათი გადაჭრისათვის. სააპელაციო სასამართლო განმარტავს სსკ-ის 1421 და 1424 მუხლებს, რომელიც ამბობს რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას დამართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღონ სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც არ უნდა იყოს იგი. გარიგება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არ გულისხმობს მხოლოდდამხოლოდ პირის ნების ობიექტურად არსებობას გარკვეული სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, რომ აღნიშნული ნება გამოვლენილ იქნეს. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას მიიღოს ან არ მიიღოს სამკვიდრო, თუმცა, აწესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადას. სამკვიდროს მიღების ნების არსებობის შემთხვევაში, ნება გამოვლენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება. უფრო მეტიც, აღნიშნული ნების გამოხატვის მიზნებისათვის კანონი საკმარის საფუძვლად მიიჩნევს სამკვიდროს ნაწილის დაუფლებას, სასამართლო პრაქტიკით სამკვიდროს ნაწილად მიჩნეულია სამკვიდრო მასაში შემავალი როგორც უძრავი, ასევე ნებისმიერი მოძრავი ნივთი. პალატა მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის არარსებობის პირობებში, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა ადასტურებს მემკვიდრის ნებას სამკვიდროს მიღებაზე. პალატა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მიზნებისათვის მნიშვნელობას ანიჭებს ასევე მემკვიდრეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას სამკვიდრო მასაში არსებული ქონების მიმართ. პალატა

⁴⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # 07.03.2013 N ას-1183-1112-2012 <http://library.court.ge/judgements/2352014-12-18.pdf>

მემკვიდრის მიერ ნების გამოვლენის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღების კანონით გათვალისწინებულ ვადაში ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, როგორცაა, სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მემკვიდრის ნების გამოხატვის ობიექტურ თავისუფლებას, ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ნების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ფორმებიც შეიძლება არსებობდეს, მათ შორის, ერთ - ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად - დაუფლების ხელშეშლაა, რის გამოც, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების სურვილის მქონე პირი, იძულებულია სხვაგან იცხოვროს, რაც იმთავითვე გამორიცხავს მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებას.⁴⁷

სასამართლო მსჯელობათ მიხედვით, შეიძლება ითქვას რომ ყოველი შემთხვევა სამკვიდროს ფაქტობრივი განხილვის ეტაპზე, არის ინდივიდუალური, საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას და რთულია, განსაზვრო წინასწარ რა დოკუმენტაციით უნდა იხელმძღვანელო გამოკვლევის, მოძიების, მოწმეთა ახნა-განმარტების მოსმენის გარეშე რა მიმართულებით წაიყვანო საქმის მსვლელობა. სწორედ ამაშია სასამართლოს უპირატესობა ნოტარიუსთან მიმართებაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენის ეტაპზე, რომ ნოტარიუსი შეზღუდულია კონკრეტული მუხლის ფარგლებში და ასევე არაქვს ამ დოკუმენტაციათა სათანადოდ გამოკვლევის საშუალება, რის გამოც ხდება მემკვიდრისთვის ნოტარიუსთა მხრიდან უარის თქმა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, რადგან ისინი თავის თავზე ვერ იღებენ შესაბამისი გამოკვლევის გარეშე აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას და მემკვიდრეების დიდი რიცხვი მომართვს სასამართლოს , რის გამოც გვესახება ამ რაოდენობით საქმე სასამართლებში აღნიშნულ საკითხზე.

⁴⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 3 მაისი, 2011 წელი საქმე #28/6068-13
<http://library.court.ge/judgements/73242013-05-06.pdf>

V. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სასამართლო პრაქტიკა გვანახებს თითოეული საქმის განსხვავებულობას და გვახვედრებს რომ აღნიშნული პრაქტიკიდან გამოდინარე საჭიროებს ინდივიუალურ მიდგომებს. ერთიანი სტანდარტის შემუშავება სწორედ ამიტომ რთულია და შესაბამისად რთულია ნოტარიუსებისთვის კონკრეტული კანონის მუხლში იჯდნენ, ვერ იმოქმედონ თავიანთი შინაგანი რწმენით და ასევე არ მიეცეთ მათ შესაძლებლობა როგორც სასამართლო ადგენს დავის გარეშე კონკრეტულ გარემოებას, მსგავსი უფლებამოსილება მიენიჭოთ მათ მოწმეთაგან ახსნა-განმარტების მიღების სახით. ნოტარიუსისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭებას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოებისთვისაც, სახელმწიფოებრიობისთვისაც, რომ აღარ იყოს საქმეთა ულვეი მასა შესული სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენის მიზნით, როცა საზოგადოების და კონკრეტულად კი მემკვიდრეების სამართლებრივი ცოდნის მოცემულობა მაინც დროთა ცვლის მიხედვით ერგვაროვანი რჩება, შესაბამისად დროთა ცვლილების მიუხედავად იგივენაირად რჩებოდეს პრობლემა მოუგვარებელი როგორც სასამართლოებისათვის ასევე მემკვიდრეებისათვის ერთის მხრივ ქვეყნისთვისაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა, მეორე მხრივ ქართული სამართლისთვისაც.

პირველ რიგში რაზეც ზემოთ ვიმსჯელებთ ნოტარიუსებისთვის მოწმეთა ახსნა -განმარტებით პირის მხრიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების დადგენის უფლებამოსილება, ერთის მხრივ მემკვიდრეთა მხრიდან სასამართლომს მიმართვამდე, მათთან მიმართვიანობას გაზრდის, მეორეს მხრივ მათ მეტი თავისუფლება მიეცემათ მოცემული საკითხის განხილვისას, შესაბამისად უფრო ნაყოფიერად და ოპერატიულად იმოქმედებენ. რა თქმა უნდა შესაძლოა ამან გააჩინოს გარკვეული პრობლემანი თუმცა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის მსგავსი ფორმით მიღების შესახებ დავის არსებობისას, შესაძლებელი იქნება ბოლო გზა ისევ სასამართლოსთან მივიდეს, როგორც ეს თუნდაც ისედაც ხდება რიგ შემთხვევებში, შესაბამისად ყოველივე ეს დიდ გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს. ასევე თუ მოწმეთა მხრიდან, ასევე მემკვიდრეთა მხრიდან ადგილი იქნება ფაქტების გაყალბებას და ინფორმაციის განზრახ არასწორად მიწოდებას, მათ უნდა იცოდნენ რო დაეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგელობა და ეს კანონმდებლობით უნდა გაიწეროს, რაც ჩემი აზრით აუცილებელი გარემოებაა ნოტარიუსთან ახსნა-განმარტების და ინფორმაციის ზუსტი მიწოდების თვალსაზრისით.

ასევე საკითხი ამ პრობლემასთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მხრიდან

სამართლებრივი განათლების დაბალ ხარისხზე, როდესაც მათ არაქვს ხშირ შემთხვევაში რა სამართლებრივ შედეგამდე შეიძლება მივიდნენ, როცა მამკვიდრებელი გარდაცვილება, დაეუფლებიან მათ ქონებას და არ მიმართავენ ამის თაობაზე ნოტარიუსს, ასევე არ იციან იმ დოკუმენტთა მნიშვნელობის შესახებ, რომლითაც შეიძლება მათ შემდგომში ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა შეძლონ და არ ინახავენ ამ დოკუმენტებს, ერთი სიტყვით საკუთრების თვალსაზრისით არც კი აქვთ ინტერესი და ცოდნა, თუ რა სხვაობა იმ ფლობასა და ქონების საკუთრებაში მიღებას შორის რაც შემდგომში გასხვისების თუ სხვა სურვილის შემთხვევაში უკვე პრობლემად გადაიქცევა ხოლმე. ერთის მხრივ შესაძლებელია სხვა, თუნდაც ევროპის ქვეყნებშიც არის იდენტური სიტუაცია მოსახლეობის მხრიდან, თუნდაც არცოდნით სამართლებრივი დანაწესებისა, მაგრამ უნდა აღინიშნოს რო ქვეყნის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და განვითარების დონე დიდ როლს თამაშობს ამ შემთხვევაშიც, სამართლებრივი ნორმების გამართულობასთან ერთად. ამი დასტურია ის გარემოება რომ სხვა განვითარებულ ქვეყნებში მიუხედავად მოსახლეობის შესაძლოა იგივე სამართლებრივი ცოდნის დონის მიუხედავად, იგივე პრობლემა ასე მასიურად არ არის სახეზე, რადგან მათ ყავთ პირადი და ოჯახის იურისტები, რომელიც უმარტავენ ყველა მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, და შედეგების ცოდნის შემდგომ უკვე იციან მემკვიდრეებმა როგორ მოიქცენენ და რაში ჭირდებათ მიღებულ სამკვიდროზე ზრუნვა.

უნდა აღინიშნოს რომ ამ პრობლემის მოგვარება ჩვენ ქვეყანაშიც მხოლოდ სამართლებრივი დანაწესებისა და ნორმების ცვლილებებით ვერ განხორციელდება. ამიტომ სამართლებრივი ნორმების მსგავსად გაწერასთან ერთად, რაც ზემოთ აღინიშნა, საჭიროა სკოლის ასაკიდან სამართლებრივი განათლების საგნის შემოტანა, რითაც აიწევა სამართლებრივი ცოდნის დონე ქვეყანაში იმ აუცილებელ გარემოებათა შესახებ, რომელიც მათ სამომავლოდ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. ასევე იურიდიული დახმარების ცენტრების შემოტანა, რომელიც ერთის მხრივ კარგი წამოწყებაა თუნდაც ახალბედა იურისტებისათვის სამართლის ძირითად და აუცილებელ ნორმებთან მიმართებით იმუშაონ, მეორეს მხრივ კი მოსახლეობას მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაციები, რაც გამოიწვევს ასევე დაინტერესებას და ცოდნის ამაღლებას, ინფორმირებულობას მოსახლეობაში სამართლებრივი შედეგების მიმართ. შესაძლებელია როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითვემმართველ ორგანოთა დაწესებულებებისთვის ჩაწერა კანონში იმ უფლებამოსილების მინიჭების თობაზე, გავიდნენ მისამართზე, მოიძიონ, გამოიკვლიონ და გასცენ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხის დასადასტურებლად, საცხოვრებელი

მისამართის იდენტიფიკაციისთვის თუ ეს ვერ ხერხდება, რაც უფრო ობიექტურს გახდის აღნიშნული საკითხის გადაწყვეტად და შეამცირებს მასების სასამართლოსკენ გადამისამართებას ნოტარიუსთა მხრიდან, დაეყრდნობიან მათ მიერ გაცემულ ინფორმაციას და მიიღებენ გადაწყვეტილებას, ვთვლი, რომ აღნიშნული საკითხის შემოტანა არც შეუსაბამო დანახარჯებს არ გამოიწვევს. ასევე კომუნალური გადასახადების გადახდის ეტაპზე, აუცილებელ გრაფად განისაზღვროს გადამხდელის მითითება, რადგან აღნიშნული საკითხის დადგომისას ინახებოდეს ინფორმაცია ვინ იხდის ქონებასთან მიმართებაში დაგროვილ ხარჯებს, რაც ვთვლი რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ამ პრობლემების გადაწყვეტის ეტაპზე.

ყველაფერი ეს ასევე დაეხმარება ქვეყანას როგორც რესურსების დაზოგვაში, ნაკლები სასამართლო დავის წარმოების თვალსაზრისით, ასევე მემკვიდრეთა მდგომარეობის შემსუბუქების თვალსაზრისით, იქნება ქვეყანაში მაღალი სამართლებრივი ცოდნის დონე თუ არა. მიმაჩნია რომ ორივე ღონისძიების გატარება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოებაში სამართლებრივი განათლების კუთხით მეტი ღონისძიებების განხორციელება და ინფორმირება, ასევე იმ ნორმათა და პრაქტიკაში წარმოშობილ ხარვეზთა აღმოფხვრა, რაზეც აღნიშნულ ნაშრომში იქნა ყურადღება გამახვილებული.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ე. შენგელია რ. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი (თეორია და პრაქტიკა) გამომცემლობა მერიდიანი თბილისი 2017
2. რ. შენგელია „მემკვიდრეობის სამართალი“ გამომც. მერიდიანი. თბილისი 2007
3. შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000.
4. ბ.ზოიძის წიგნი „ ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000
5. ლ. ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2011
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;
7. ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003,
8. ზ. ახვლედიანი. „მემკვიდრეობის სამართალი“ გამომც. ბონა-კაუზა. თბ. 2007წ.
9. რედ: ბ. ზოიძე
10. ლ.ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, 2001
11. დ.კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009
12. ბ.ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 46-48
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 1999
14. ი.გელაშვილი, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბ.2012 , გ
15. ბ.ზოიძის წიგნი „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000
16. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი v, გამომცემლობა "სამართალი , წელი 2000 , გვ 467
17. დ.სუხიტაშვილი, სამართალი და დრო, თბ 2004
18. ავტორთა კოლექტივი. „სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“ რედ: ლ.ჭანტურია; გამომც:“სამართალი“ თბ.2000წ

ინტერნეტ წყაროები:

1. საქართველოს საერთო სასამართლოებში განხილულ საქმეთა სტატისტიკა, დინამიკა 2018, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-samoqalaqo.pdf>
2. რეკომენდაცია ფაქტიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების თაობაზე
<http://notary.cloud.gov.ge/res/docs/shida/menu/rekomendatsia-31-10-2014.pdf>
3. თ. გრიგოლაია სტატია - მემკვიდრეობითი სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში, რეგულირების სფერო.
<https://elawjournal.wordpress.com/2011/11/20/ანდერძით-მემკვიდრეობისა>

4. საქართველოს კონსტიტუცია
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
5. სამოქალაქო სამართლის კომენტარები
http://civilcode.ge/index.php?title=მუხლი_170._ცნება._საკუთრების_უფლები_ს_შინაარსი
6. ნ.როსეფაშვილი, სტატია მემკვიდრეობა კანონით თუ ანდერძით
<https://elawjournal.wordpress.com/?s=სამკვიდრეობა>
7. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმის წარმოება
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
8. მავა კობიაშვილი, პუბლიკაცია მემკვიდრეობა 2011 წელი
<http://myl.ge/img/original/2015/11/9/264674472.pdf>
9. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0>

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება # 07.03.2013 N ას-1183-1112-2012
<http://library.court.ge/judgements/2352014-12-18.pdf>
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 9 ნოემბერი 2012 წელი, საქმე #2ბ/2678-12
<http://library.court.ge/judgements/46832013-12-12.pdf>
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 3 მაისი, 2011 წელი საქმე #2ბ/4488-10
<http://library.court.ge/judgements/73242013-05-06.pdf>
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება 25 მარტი, 2014 წელი, საქმე #2ბ/6068-13
<http://library.court.ge/judgements/2352014-12-18.pdf>

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ე. ი. -ესე იგი

ა. შ. -ასე შემდეგ